

ავთანდილ არაბული, თამარ ვაშაკიძე, თეა ბურჭულაძე

აბრევიატურების შედგენილობისა და ფორმაწარმოების საკითხები

დღევანდელ ეპოქაში სიტყვათა შემოკლებანი თუ აბრევიატურები სამეცნიერო-ტექნიკური სტილის ერთგვარ მახასიათებლად იქცა. პრესა, ტელე- და ინტერნეტსივრცე, რეკლამები, საკანონმდებლო ენა, ოფიციალურ-საქმიანი დოკუმენტები, სხვადასხვა დარგის სამეცნიერო შრომები თუ პროექტები სახელმწიფო ენის ფუნქციონირების ის სფეროებია, რომლებიც სიტყვათშემოკლებათა მთელ სისტემას წარმოგვიდგენს.

სიტყვათშემოკლების განსაკუთრებული სახეობაა აბრევიატურები. ამ შემთხვევაში რამდენიმესიტყვიანი სახელწოდება მოკლდება შემადგენელ სიტყვათა პირველი ასო-ბგერების თუ მარცვლების (აგრეთვე ბგერათვომპლექსების) შეერთებით (**თემქა** – თბილისის ელმავალმშენებელი ქარხანა, **ჰესი** – ჰიდროელექტროსადგური...).

აბრევიაციის პრაქტიკა ჩამოყალიბდა და გავრცელდა იმ ქვეყნებში, რომელთა ეროვნული (სახელმწიფო) ენები ლათინური ანბანის სისტემაზეა დაფუძნებული. ყველა ეს ენა, აბრევიაციის პერსპექტივის თვალსაზრისით, ქართულ დამწერლობასთან შედარებით ორი მნიშვნელოვანი უპირატესობით ხასიათდება: 1. ევროპულ ენებს აქვს დიდი, ანუ მთავრული ასოები, რაც საშუალებას იძლევა, ინიციალური წესით გაფორმებული აბრევიატურა ვიზუალურად გამოიკვეთოს; 2. ამ ენათა ასოების სახელწოდებები (გარდა იშვიათი გამონაკლისისა) ხმოვნებზე თავდება, რაც საშუალებას იძლევა, მთავრული ასოებით გაფორმებული ვიზუალური გამოსახულება ზეპირი წარმოთქმითაც (აკუსტიკურადაც) ბუნებრივი სიტყვის მსგავსად ჟღერდეს.

რამდენადაც აბრევიატურა წინადადებაში დამოუკიდებელ სიტყვას (სახელს) უტოლდება, ცხადია, მისი ბრუნებისა და თანდებულებით გაფორმების საკითხიც დაისმის.

იმ აბრევიატურებთან, რომლებიც ინიციალური წესით (ანუ – შემადგენელ სიტყვათა პირველი ასოებით) არის შედგენილი, შესაბამისი ბრუნვის ნიშანი და თანდებული დეფისით გამოიყოფა (დსთდან გამოვედით; აშშ-ში მივემგზავრებით და სხვ.), ხოლო თუ აბრევიატურა სიტყვას უტოლდება (გახმოვანებულია), ის ისე იბრუნვის, რო-

გორც შესაბამისი ფუძის (უკუმშველი და უკვეცელი) სახელები და შესაბამისი ფორმა განუყოფლად დაიწერება (თემქამდე...)

უცხოურ აბრევიატურათა ბოლოკიდური **ი** ხმოვანი ფუძის ნაწილად ჩაითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ის შესაბამის ასობგერათა დასახელების შემადგენელი ნაწილია, შდრ.: **სიენენმა** (CNN = ci-en-en), მაგრამ: **თიბისიმ** (TBC = ti-bi-ci)...

აბრევიატურათა ბრუნვის ნიშნებითა თუ თანდებულებით გაფორმებისას გამოიყოფა შემოკლებულ სახელწოდებათა რამდენიმე ტიპი:

ა) აბრევიატურაც და შედგენილი სახელწოდებაც (იგულისხმება შედგენილი სახელწოდების ბოლო სიტყვა) თანხმოვანფუძიანია, მაგ.: **ააიპი** – არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული **პირი** (შდრ.: **ააიპმა**, არასამეწარმეო იურიდიულმა **პირმა**). აღნიშნული ტიპის აბრევიატურები უნდა ვაბრუნოთ ისე, როგორც უკუმშველი თანხმოვანფუძიანი სახელები. ასევე იქნება იმ შემთხვევაში, როდესაც შესაბამისი აბრევიატურა მრავლობითი რიცხვის ფორმით გამოიყენება.

ბრუნვის ნიშნებით

საზ.	ააიპი	ააიპები
მოთხრ.	ააიპმა	ააიპებმა
მიც.	ააიპს	ააიპებს
ნათ.	ააიპისა	აიპების
მოქმ.	ააიპით	ააიპებით
ვით.	ააიპად	ააიპებად

თანდებულიანი ფორმით

ააიპივით // ააიპსავით
 ააიპში
 ააიპზე
 ააიპთან
 ააიპის(ა)გან
 ააიპის(ა)თვის
 ააიპის(ა)კენ
 ააიპიდან
 ააიპამდე

ბ) აბრევიატურაც და შედგენილი სახელწოდებაც ხმოვანფუძიანია: **საია** – საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა **ასოციაცია**. ამ შემთხვევაში აბრევიატურა იბრუნვის ისე, როგორც უკვეცელი ხმოვანფუძიანი სახელი (ხოლო შედგენილი სახელწოდების ბოლო სიტყვა კვეცადია: **ასოციაციის**).

ბრუნვის ნიშნებით

სახ.	საია
მოთხრ.	საიამ
მიც.	საიას
ნათ.	საიას(ი)
მოქმ.	საიათი
ვით.	საიად

თანდებულიანი ფორმით

საიასავით
საიაში
საიაზე
საიასთან
საიას(ა)გან
საიას(ა)თვის
საიას(ა)კენ
საიადან
საიამდე

გ) შედგენილი სახელწოდების ბოლო სიტყვა ხმოვანფუძიანია, ხოლო აბრევიატურა – თანხმოვანფუძიანი, მაგ.: **სესი** – სურსათის ეროვნული **სააგენტო**. აღნიშნული ტიპის შემთხვევებში, ბუნებრივია, ყურადღება უნდა მიექცეს თავად შემოკლებული სიტყვის ფუძეს (მის ბოლო ასო-ბგერას); შესაბამისად, **სესი** იბრუნვის ისე, როგორც უკუმშველი თანხმოვანფუძიანი სახელი.

ბრუნვის ნიშნებით

სახ.	სესი
მოთხრ.	სესმა
მიც.	სესს

ნათ.	სესის
მოქმ.	სესით
ვით.	სესად

თანდებულიანი ფორმით

სესივით
 სესში
 სესზე
 სესთან
 სესის(ა)გან
 სესის(ა)თვის
 სესის(ა)კენ
 სესიდან
 სესამდე

დ) შედგენილი სახელწოდების ბოლო სიტყვა თანხმოვანფუძიანია, ხოლო აბრევიატურა – ხმოვანფუძიანი, მაგ., **თსუ** – თბილისის სახელმწიფო **უნივერსიტეტი**. აქაც გასათვალისწინებელი იქნება თვით აბრევიატურის ფუძე (მისი ბოლო ასო-ბგერა – **უ**).

დასახელებულ აბრევიატურას, ტრადიციულად, ბრუნვის ნიშნები და თანდებულები დეფისით გამოეყოფა:

ბრუნვის ნიშნებით

სახ.	თსუ
მოთხრ.	თსუ-მ
მიც.	თსუ-ს
ნათ.	თსუ-ს(ი)
მოქმ.	თსუ-თი
ვით.	თსუ-დ

თანდებულიანი ფორმით

თსუ-სავით
 თსუ-ში
 თსუ-ზე
 თსუ-სთან
 თსუ-ს(ა)გან

თსუ-ს(ა)თვის
თსუ-ს(ა)კენ
თსუ-დან
თსუ-მდე

* * *

უცხოური აბრევიატურები შეიძლება გადმოიცეს როგორც ლათინური სახელწოდებების ქართული გახმოვანებით (**იუნისეფი** – გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა დაცვის საერთაშორისო ფონდი), ისე ლათინური ასო-ბგერებით (UNICEF – United Nations International Children’s Emergency Fund). თანხმოდან- და ხმოვანფუძიანი ვარიანტები, ბუნებრივია, ამ შემთხვევაშიც გამოიყოფა, შდრ., **იუნისეფი** (იუნისეფმა) და **თიბისი** (თიბისიმ – აქ **ი** ხმოვანი ფუძისეულია აბრევიატურის ბოლო ასო-ბგერის ინგლისური გახმოვანების გათვალისწინებით: C = სი). ლათინური დაწერილობის აბრევიატურას დეფისით გამოეყოფა ბრუნვის ნიშნები და თანდებულები, ხოლო ქართული (დაწერილობის) აბრევიატურა დაიწერება შერწყმულად.

ბრუნვის ნიშნებით

სახ.	UNICEF-ი
მოთხრ.	UNICEF-მა
მიც.	UNICEF-ს
ნათ.	UNICEF-ის
მოქმ.	UNICEF-ით
ვით.	UNICEF-ად

თანდებულიანი ფორმით

UNICEF-ივით
UNICEF-ში
UNICEF-ზე
UNICEF-თან
UNICEF-ის(ა)გან
UNICEF-ის(ა)თვის
UNICEF-ის(ა)კენ
UNICEF-იდან
UNICEF-ამდე

ბრუნვის ნიშნებით

სახ. იუნისეფი
 მოთხრ. იუნისეფმა
 მიც. იუნისეფს
 ნათ. იუნისეფის
 მოქმ. იუნისეფით
 ვით. იუნისეფად

თანდებულებიანი ფორმით

იუნისეფივით
 იუნისეფში
 იუნისეფზე
 იუნისეფთან
 იუნისეფის(ა)გან
 იუნისეფის(ა)თვის
 იუნისეფის(ა)კენ
 იუნისეფიდან
 იუნისეფამდე

ბრუნვის ნიშნებით

სახ. TBC (ამ შემთხვევაში სახ. ბრუნვის ნიშანი არ დაიწერება,
 რადგან TBC ხმოვანფუძიანია)
 მოთხრ. TBC-მ
 მიც. TBC-ს
 ნათ. TBC-ს
 მოქმ. TBC-თი
 ვით. TBC-დ

თანდებულებიანი ფორმით

TBC-სავით
 TBC-ში
 TBC-ზე
 TBC-სთან
 TBC-ს(ა)გან
 TBC-ს(ა)თვის
 TBC-ს(ა)კენ

TBC-დან

TBC-მდე

ბრუნვის ნიშნებით

სახ. თიბისი

მოთხრ. თიბისიმ

მიც. თიბისის

ნათ. თიბისის

მოქმ. თიბისით

ვით. თიბისიდ

თანდებულიანი ფორმით

თიბისისავით

თიბისიში

თიბისიზე

თიბისისთან

თიბისის(ა)გან

თიბისის(ა)თვის

თიბისის(ა)კენ

თიბისიდან

თიბისიმდე

* * *

გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როცა შემოკლებულია ორსიტყვიანი სახელწოდების მხოლოდ პირველი კომპონენტი, ხოლო მეორე სიტყვა სრულად არის წარმოდგენილი (მაგ., **სტუდსაბჭო**). ასეთი შემოკლებები, ტრადიციულად, დამოუკიდებელი სიტყვის მსგავსად იწარმოებს ბრუნვათა თუ თანდებულთა ფორმებს.

ბრუნვის ნიშნებით

სახ. სტუდსაბჭო

მოთხრ. სტუდსაბჭომ

მიც. სტუდსაბჭოს

ნათ. სტუდსაბჭოს(ი)

მოქმ. სტუდსაბჭოთი

ვით. სტუდსაბჭოდ

თანდებულიანი ფორმით

სტუდსაბჭოსავით
 სტუდსაბჭოში
 სტუდსაბჭოზე
 სტუდსაბჭოსთან
 სტუდსაბჭოს(ა)გან
 სტუდსაბჭოს(ა)თვის
 სტუდსაბჭოს(ა)კენ
 სტუდსაბჭოდან
 სტუდსაბჭომდე

არის ისეთი მაგალითებიც, რომლებშიც შემოკლებულია სამსიტყვიანი სახელწოდების მხოლოდ პირველი და მეორე სიტყვა, ბოლო სიტყვა კი სრულად არის წარმოდგენილი (მაგ., **ყაზტრანსგაზი**). ამ შემთხვევაშიც შემოკლება ჩვეულებრივი სიტყვის მსგავსად მიიღებს ფორმებს.

ბრუნვის ნიშნებით

საზ. ყაზტრანსგაზი
 მოთხრ. ყაზტრანსგაზმა
 მიც. ყაზტრანსგაზს
 ნათ. ყაზტრანსგაზის
 მოქმ. ყაზტრანსგაზით
 ვით. ყაზტრანსგაზად

თანდებულიანი ფორმით

ყაზტრანსგაზივით
 ყაზტრანსგაზში
 ყაზტრანსგაზზე
 ყაზტრანსგაზთან
 ყაზტრანსგაზის(ა)გან
 ყაზტრანსგაზის(ა)თვის
 ყაზტრანსგაზის(ა)კენ
 ყაზტრანსგაზიდან
 ყაზტრანსგაზამდე

* * *

გამოიყოფა ისეთი აბრევიატურებიც, რომლებიც ფაქტობრივად დამოუკიდებელ სიტყვებად დამკვიდრდა (მაგ., **ეუთო** = ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია, **ნატო** = ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაცია და სხვ.). როგორც ვხედავთ, ასეთი შეიძლება იყოს როგორც უცხოური, ისე ქართული წარმომავლობის აბრევიატურა. უნდა ითქვას, რომ სწორად შედგენილ (გახმოვანებულ) აბრევიატურებს დამოუკიდებელ სიტყვად დამკვიდრების გამოკვეთილი ტენდენცია ახასიათებს (ამისი მაგალითებია: თემქა, ექთანო, ცეკა...). ამგვარი აბრევიატურები, ცხადია, დამოუკიდებელი სიტყვების მსგავსად იწარმოებს ფორმებს.

ბრუნვის ნიშნებით

სახ. ნატო
მოთხრ. ნატომ
მიც. ნატოს
ნათ. ნატოს(ი)
მოქმ. ნატოთი
ვით. ნატოდ

თანდებულიანი ფორმით

ნატოსავით
ნატოში
ნატოზე
ნატოსთან
ნატოს(ა)გან
ნატოს(ა)თვის
ნატოს(ა)კენ
ნატოდან
ნატომდე

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ აბრევიატურა თავად ქმნის ფუძეს – ხმოვნით ან თანხმოვნით დაბოლოებულს. მისი ფორმაწარმოებაც ამას ეფუძნება – კვეცისა და კუმშვის გამოორიცხვით (ზოგი გამონაკლისის გარდა). კვეცა და კუმშვა ხდება იმ შემთხვევაში, რო-

დესაც შემოკლების ბოლო სიტყვა სრულად არის შემორჩენილი (**ელფოსტა – ელფოსტისა...**), ან აბრევიატურა „გასიტყვებულია“ (დამოუკიდებელ ლექსიკურ ერთეულად არის ქცეული) და ის ფორმაწარმოების ზოგად წესებში ექცევა (**თემქა – თემქისა, ექთან – ექთნისა...**).

ლიტერატურა

არაბული 2004 – ა. არაბული, ქართული მეტყველების კულტურა, თბილისი.

არაბული, ვაშაკიძე, ბურჭულაძე 2014 – ა. არაბული, თ. ვაშაკიძე, თ. ბურჭულაძე, ქართული ენის სიტყვათშემოკლებათა ლექსიკონი (აგების პრინციპებისათვის), ტერმინოლოგიის საკითხები I, თბილისი.

Avtandil Arabuli, Tamar Vashakidze, Tea Burchuladze

Formation Issues for Abbreviations

Summary

In the process of adding case markers and postpositions to the abbreviations several different types of the short forms are distinguished:

- a) The bases of an abbreviation and a name itself (the final word of a name) end with a consonant, e.g. **aaipi** – arasameçarmeo iuridiuli piri (cf. aaip-ma, pir-ma) “Non-commercial legal entity”. This type of abbreviations should be declined as words with consonant bases that cannot be syncopated. It should be noted that some abbreviations are used even in the plural form.
- b) The bases of an abbreviation and a name end with a vowel, e.g. **saia** – saqartvelos axalgazrda iuriṣṭa **asociacia** “Georgian Young Lawyers' Association”. In this case the abbreviation is declined as a word with a vowel base that cannot be apocopated. As for the complete name (the final word of a name), of course, it can be apocopated, cf. **saia**si – **asociacia**.
- c) The base of an abbreviation ends with a consonant while the base of the final word of a complete name has a vowel as a final letter, e.g.

sesi – sursatis erovnuli **saagento** “The National Food Agency”. In such cases the attention should be paid to the base of an abbreviation (its final letter) and respectively **sesi** should be declined as a consonant base word that cannot be syncopated.

- d) The base of an abbreviation ends with a vowel while the base of the final word of a complete name has a consonant as a final letter, e.g. **tsu** – tbilisi saxelmşipo **universiteti** “Tbilisi State University”. In this case the base of an abbreviation, in particular, its final letter – **u** should be considered.

Foreign abbreviations may be written in Georgian just like they are read in Latin, e.g. **iunisepi** or in Latin letters, e.g. UNICEF – United Nations International Children’s Emergency Fund. In these cases the variants with the vowel bases and consonant bases are also distinguished, cf. **iunisepi** (iunisepma) and **tibisi** (tibisim – the final vowel **i** belongs to the base – C = **si**) “TBC”.

There are also cases when just the first component of a name consisting of two words is shortened, e.g. **şudşabço** while sometimes the first and the second components of a name consisting of three words are shortened, e.g. **gaztransgazi**.

Some abbreviations even established as separate words, e.g. **euto** “Organization for Security and Cooperation in Europe”, **nato** “North Atlantic Treaty Organization” etc.

An abbreviation produces a base itself and the word formation is based on it with an exclusion of syncope and apocope (a few exceptions are as follows: **elpoşa**– **elpoşisa**, **temka** – **temkisa**, **ektani** – **ektnisa**...).